PLITONIT

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

Plitonit Deutsche Qualität

# PLITONIT ცემენტის ნადების მოსაშორებელი საშუალება




სპეციალური საწმენდი საშუალება ცემენტის ხსნარების, ფილების წებოსა და ნაკერების შემავსებლის ნარჩენების მოსაშორებლად, აგურის კედლების ბეტონის შხეფებისგან, წყობის ხსნარის ნარჩენებისგან, კირისა და მარილებისგან გასაწმენდად, შენობა-ნაგებობების მშენებლობის შემდეგ დასუფთავებისთვის, დაბინძურებისა და კირქვის მარილების მოსაშორებლად. შეიძლება კერამიკულ ფილებსა და კერამიკულ მოზაიკაზე, კლინკერზე, ფასადის ფილებსა და ხელოვნურ ქვაზე გამოყენება.

**დაფასოება: 1 ლ**

**PLITONIT-ის ცემენტის ნადების მოსაშორებელ საშუალებასთან მუშაობის უპირატესობები და სარგებელი**

- 1 ლ ხსნარი საკმარისია 10 მ²-მდე გასაწმენდად, ეკონომიური ხარჯი;
- სისტემური გადაწყვეტა ცემენტის შემავსებლებთან PLITONIT Colorit და Colorit Premium;
- ვარგისიანობის ვადა – 3 წელი.

**მასალის ხარჯი**

100-300 გ/მ² ზედაპირის ტიპისა და დაბინძურების ხარისხიდან გამომდინარე.

**მუშაობის წესი**

წაუსვით სამუშაო ხსნარი ზედაპირს საფრქვეველის, ფუნჯის ან ღრუბლის საშუალებით. გაიჩერეთ 5-15 წუთის განმავლობაში. არ მისცეთ ზედაპირს გაშრობის საშუალება, გაწმინდეთ სველი ღრუბლით და ჩამორეცხეთ წყლით.

**ყურადღება!**

არ გამოიყენოთ ბეტონზე, მჟავის მიმართ არამდგრად ზედაპირებსა და ფილებზე, ასევე კირის შემცველ ბუნებრივ და ხელოვნურ ქვებზე. გამოყენებამდე შეამოწმეთ საშუალების გამოყენების დასაშვებობა შეუმჩნეველ მონაკვეთზე. საშუალება სახიფათოა ლითონისთვის! აღიზიანებს კანს. აღიზიანებს თვალებს. მოარიდეთ ბავშვებს!

**უსაფრთხოების ზომები**

**ფრთხილად**

არ დაუშვათ საშუალების კანზე, თვალებში და საყლაპავ მილში მოხვედრა. გამოიყენეთ დამცავი კოსტიუმები, ხელთათმანები და სათვალეები. საშუალების თვალში ან კანზე მოხვედრის შემთხვევაში რეკომენდებულია გამდინარი წყლით მობანა. დაბინძურებული ტანსაცმელი გაიხადეთ და გარეცხეთ ხელახალ გამოყენებამდე. გაღიზიანების შენარჩუნების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

**შემადგენლობა**

წყალი, მარილმჟავა 5-15%, არაიონოგენური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები <5%, გამხსნელი.

**შენახვის პირობები**

შეინახეთ მშრალ, გრილ ადგილას. დაშვებულია გაყინვა, გალღობის შემდეგ საწმენდი თვისებები შენარჩუნდება. მწარმოებლის გაუხსნელ ტარაში შენახვის ვადა - 36 თვე დამზადების დღიდან.

**ლოგისტიკური ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| ინდივიდუალური შტრიხკოდი | 4607013046887 |
| ჯგუფური შტრიხკოდი | 14607013046884 |
| ფლაკონების რაოდენობა პალეტზე | 528 ც. |